სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა!

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

---

## ქართული თეატრი

კვირას, 20 დეკემბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან და ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

### ქორ-ოღლი

ტრაგედია 4 მოქ. ნ. ანტონოვისა.

II

მეხუთე მოქმედება

### ორი ობოლი

**ადგილების ფასი დაკლებულია**

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი

---

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა

### „სახელმძღვანელო"

სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების

**მოწაფეთათვის**

შედგ. მღვ. ნ. ყუბანეიშვილის მიერ

ფასი ყდით 30 კაპ.

ცალკე თითო კაპეიკი გადიდება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ ფონდისათვის. (20—7)

---

### შპალერების საწყობი
## ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე

ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**

## І. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 - 90)

---

ორშაბათს, 21 ქრისტიშობისთვეს ტფილისის სობრანიის დარბაზში გამართულ იქნება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების სასარგებლოდ

### კონცერტი

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ბ. მ. ამირაჯიბი, ქ-ნნი ე. გ. სარაჯიშვილი და ა. ა. თხორჟევსკაია, თ. ა. რ. წერეთელი და ბ-ნნი მ. ვ. სერბულოვი, პ. ა. ლოდი, ი. გ. გარგარეთელი და კ. ს. მესხი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

კონცერტის შემდეგ იქნება

### ცეკვა

ბილეთები იყიდება საზოგადოების კანცელარიაში და ტფილისის სობრანიაში.

---

კავკავში

### ქართული წიგნებით
### ვაჭრობას

მთავრობის ნებადართვით ვხსნი ამ დღიდან, ამისთვის უმორჩილესად ვთხოვ ქართული წიგნების გამომცემლებს, თავიანთი გამოცემანი გამოგვიგზავნონ საკომისიოდ გასასყიდლად დაკლებით არა ნაკლებ 20%.

ადრესი: Владикавказъ. Ивану Семеновичу Месхіеву.

პატივისცემით ივანე მესხიევი

---

### ექიმი

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ **К. М. Чиковани**

Михайлов., № 16.

---

გამოვიდა და ისყიდება „წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წიგ. მაღაზიაში

### იუდა

(ნადსონისა)

ნათარგმნი ილ. ფერაძის-მიერ, გამოცემა ექ. ხელაძისა. ფასი 3 კაპიკი.

იმავე ავტორის თხზულება: **Мысли Преосвященнаго Гавріила еписк- Имеретіи о воспитаніи дѣтей"** ისყიდება ბ. ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ფასი 20 კაპ. (10—6).

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

### ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

---

სამკურნალო და ამბულატორია

### ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი ვ. თ. კობიანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბა-

**ცეცხლი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. **თოფურია.**
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** **ოთხ-კეცი სიამოვნება.** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბილეთები ორშაბათის კონცერტისა, რომელსაც მართავს ტფილისის „სობრანიის“ ზალაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თითქმის მთლად გაყიდულია. საკვირველიც არ არის, ამისთანა კონცერტი დამსწრე საზოგადოებას ოთხ-გვარს სიამოვნებას გამოატარებს: სიმღერა და მუსიკა ერთს სიამოვნებას აგრძნობინებს, ლექსების კითხვა და სცენები მეორეს, მშვენიერი ლეკური და ევროპიული ცეკვა მესამეს და მეოთხე სიამოვნებას დაბადებს მაყურებლის და მსმენელის გონებაში ის აზრი, რომ მან თავისი დასწრებით მონაწილეობა მიიღო კეთილ საზოგადო საქმეში. მეტი-ღა სიკეთე გინდა? მოდი და ნუ დაესწრები ამისთანა საზოგადო გასართობსა.

*** **პ. უმიკაშვილის ახალი პიესა.** ჩვენს ცნობილს საზოგადო მოღვაწეს ბ-ნ პეტრე უმიკაშვილს ახალი პიესა დაუწერია „ბენეფისის წინ“. შინაარსი პიესისა აღებულია ქართველ მსახიობთა ცხოვრებიდან. ხსენებული პიესა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას უკვე განუხილავს და მოუწონებია. მომავალის წლის 2 იანვარს ჩვენს თეატრში დასდგამენ.

*** **ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო წრე.** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ მომავალ 1899 წლისთვის ჟურნალ „მოამბის“ გაძღოლა იკისრა ახლად შემდგარმა სარედაქციო წრემაო. ამ წრის წევრებიცა გვყავდა ჩამოთვლილი. ხსენებულ წევრებთ გარდა ამ წრეში მონაწილეობას იღებენ: გრ. ყიფშიძე, ივ. მაჭავარიანი, ვახუშტი ლორთქიფანიძე და რომანოზ ფანცხავა.

*** **ბათომ-ოზურგეთის რკინის გზა.** ამ ჟამად უკვე დაუმთავრებიათ განზრახულ ბათომ-ოზურგეთის რკინის გზის გამოკვლევა (ქობულეთიდან ოზურგეთამდე, რადგან ბათომიდან ქობულეთამდე უკვე არის გზა). საჭირო კრედიტის გადადების შემდეგ შეუდგებიან გზის გაყვანას. („ნ. ობ.“).

*** **მიმოსვლა ტფილისსა და თელავს შუა,** როგორც დეპეშა იუწყება, განახლდა.

*** **კავკასიაში რუსეთის გლეხების გადასახლების საქმე.** იმ კითხვის დაბოლოებით გადასაწყვეტად, რომ რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლების მსურველ გლეხებს მიეცეთ კავკასიაშია თავისუფალი და უმთავრესად-კი მოხერხებული ადგილ მამულები, სახელმწიფო ქონებათა და მიწადმოქმედების სამინისტროს დასჭირდა კიდევ რამდენიმე დამატებითი ცნობა, რომლებსაც მოსთხოვს სათანადო მთავრობას.

*** **ფოთის პორტის რკინის გზა.** როგორც „ნ. ობ.“-ს გაუგონია, კავკასიის უმაღლეს მთავრობას მოსახერხებლად უცვნია გამოერთვას ქ. ფოთში კერძო მესაკუთრეთ ის ადგილები, რომლებზედაც რკინის გზამ უნდა გაიაროს ფოთის პორტისაკენ. ამ კითხვის საბოლოოდ გადაწყვეტა დამოკიდებულია საშინაო საქმეთა სამინისტროზე.

*** **სამარხი კასა ტფილისში.** როგორც ისმის, განზრახვა აქვთ დააარსონ ტფილისში სამარხი კასა ისე, როგორც ფოთში დააარსეს, მხოლოდ უფრო ფართო საფუძველზე.

*** **შემაძრწუნებელი მკვლელობა და გაძარცვა.** ქ. ყუბაში შემდეგი საშინელი ამბავი მომხდარა ებრაელთა უბანში 11 დეკემბერს. ამ დღეს ყელ გამოჭრილი უნახავთ მთელი ოჯახი ერთი მდიდარი ებრაელისა. მოკლულები ლოგინში, თურმე, იწვნენ. ყელი გამოეჭრათ დედისა და მისი შვილებისათვის, ძუძუ-მწოვარა ბალღიდან დაწყებული, ვიდრე 14 წლის ყმაწვილამდე. მკვლელობა ჩაუდენიათ ბოროტ-მომქმედთ სახლის გასაძარცვავად. დაწვრილებით ეს ამბავი ჯერ არ იციან. ამბობენ, წინადღით, სალამო ხანს, ვიღაც ნაცნობი ხსენებულ ოჯახს ღამის გასათევად ეწვიაო. დილით ის იქ ველარ უნახავთ, ხოლო ფული და სხვა და სხვა ძვირფასეულობა წაღებული დახვედრიათ. ამ შემთხვევის დროს ოჯახის უფროსი შინ არ ყოფილა. თურმე, მუდამ სოფელ-სოფელ დადის თავისი სავაჭრო საქმეების გამო.

*** **გამგეობის წევრის დამტკიცების საქმე.** ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ თუმცა ხმოსნის მ. ს. შესტაკოვის ქალაქის გამგეობის წევრად დამტკიცების წინააღმდეგ არაფერი მაქვს, მაგრამ მისი დამტკიცება ამ თანამდებობაში მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სამხედრო სამსახურს თავს დაანებებსო.

*** **თავხედური ქურდობა.** 17 დეკემბერს, პოლიციის მე 9 განყოფილებაში, სიმონოვის ქუჩაზე, ხუნდაძის სახლებიდგან ქურდებმა მოიპარეს შუაღამისას ა. ხ—ძის ჩოხა, 2 ხანჯალი და ქუდი, სულ ღირებული 20 მანეთად. ოთახში მყოფთ ქუჩისა და ოთახის კარები ღია დარჩენოდათ. ამ ქუჩაზე, განსაკუთრებით ამ სახლებში, ამნაირი ქურდობა პირველი არ არის, არამედ სამჯერ მაინც გაუქურდავთ ამ სახლის მდგმურები. აქეთ პოლიციელი სამთლით რომ ეძებოთ ვერ ნახავთ.

*** **გოგირდის მადნის იჯარით გაცემა.** სენაკიდან რვა ვერსის მანძილე არის გოგირდის მადანი. ამ ჟამად „ჩერნ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ინგლისელ კაპიტალისტთა კამპანია მოლაპარაკებას ათავებს ამ მადნის იჯარით აღების შესახებ, რომ შეუდგეს მის წარმოებას.

*** **ვაჭრობა შობის წინ.** რადგან შობის წინ ვაჭრობა ჩვეულებრივ გაძლიერდა ბ ბაზარზე აუარებელი სანოვაგე გამოაქვთ სავაჭროდ, ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა სავაჭრო-სამრეწველო პოლიციას და სასანიტარო ექიმებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ბაზარზე გასაყიდ სანოვაგესაო.

*** **ახალ-სენაკი. უწესოება დილიჟანში.** ახალ-სენაკიდან ს. მარტვილამდე დადის ერთად-ერთი დილიჟანი, მაგრამ ღმერთმან დაგიფაროს იმითი მგზავრობა. ამ დილიჟანის კონდუქტორები მეტისმეტად უზრდელად და შეუპოვრად ეპყრობიან მგზავრებსა. ისინი ბატონი ბრძანდებიან, მგზავრნი კი მათი მონა. რა ყოვლად უზრდელი და უშვერი სიტყვები არ გინდა იმათგან არ მოისმინოს კაცმა. ხშირად ესეც იციან ამ ვაჟბატონებმა, რომ თუ მგზავრი ძალიან მაგარი არსებისა არ არის, მაშინ „ნაოტკის“ ფულსაც მოგთხოვენ და თუ კაცი არა ხარ ნუ მისცემ, მაშინვე „ჩამოდი ჩამოდით“-ს გეტყვიან და კიდეც უნდა ჩამოხვიდე, თორემ კისრის კვრით ჩამოგაგდებენ. ამას წინად, ერთი სოფლელი ქალი მოდიოდა, რომელსაც ბილეთი ჰქონდა კიდეც. შუა გზაზე ბილეთი ყველას მოსთხოვეს, ამ ქალმა სხვებთან ერთად ბილეთი მისცა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა ხრიკები მოსდეს საბრალო ქალს. ეს ძველი ბილეთია და ამით მგზავრობა აღარ შეიძლებაო. ქალი ეფიცებოდა, ღმერთი, რჯული დღეს ავიღე თქვენს კანტორაშიო. ქალი შუა გზაზე ჩამოაგდეს და როდესაც მგზავრებმა, გავსინჯეთ, მართალი ბილეთი აღმოჩნდა. ამ ქალმა ეს ბილეთი პოლიციას წარუდგინა და იმედია, რომ პოლიცია ალაგმავს თავხედ კონდუქტორსა. ამასთანავე სასურველია, რომ დილიჟანის პატრონმა რიგიანათ ატაროს მგზავრები და არა კონდუქტორებისაგან იყვლიფებოდნენ, როგორც ეხლა ხდება ხოლმე...

კორესპონდენტი

*** **დუშეთი. წიგნთ-საცავ-სამკითხველოს კურთხევა.** დუშეთ რაც თავი ახსოვს, ისეთი საუნჯ რამ არ შეუძენია, რაც შეიძინ ეხლახან სხვათა შორის ნაკლთა დუშეთს ზნე-გონება განვითარები და გნასპექტაკების ლამპარი აკლდ და ესეც ღვთის წყალობით და კე თილ-გონიერი ადამიანის დახმარე ბით, ვიშოვეთ, თუ აქნობამ არა, ეხლა მაინც საწყალ კაცს მოუჩნდა კაი მეგობარ-დამრიგე ლი; ვისაც უნდა ავი-კარგის გ გება დღეს იმისთვის ეს სიამოვნე ბა ხელებ-გაშლილი მზად არის ვინც მაგარ სასმელებით ჰკვის კო ლოფს იხურებდა და ჯიბე უცა რიელდებოდა, ნამეტნავად იმისთვის სულის ცხონებაა დღევანდე ლი დღე... დიახ, მე მოგახსენებ ქ. დუშეთის საერო წიგნთ-საცავ სამკითხველოზე, რომელიც დაარ სა განსვენებულმა ფოტოგრაფმ ალექსანდრე სოლომონის ძე რონ ნაშვილმა, და რომელიც წარსუ კვირას აკურთხეს და გახსნეს კი დეც.

წიგნთ-საცავ-სამკითხველოს კურთხევის და ალექსანდრე რონაშვილის სულის მოხსენების შემდეგ, მღ. მეტრეველმა,—მოკლეთ რომ ვსთქვა, ამნაირი სადღესასწაულო აზრი წარმოსთქვა: „ვისაც სწავლა-განათლების სასარგებლო მნიშვნელობა სწამს, მან დღევანდე ლი დღე ოქროს ასოებით უნ აღიბეჭდოს... დუშეთმა დღეს, ზნ გონებ განვითარების მხრივ, ერთ ნაბიჯი წინ წადგა და ჩვენც უნდ ამნაირ სასიქადულო მოვლენას სი ხარულით დაუხვდეთ და გზა-კვალი დაულოცოთ... ვინ არ იცის, რომ კარგია კარგი საქმის გაკეთება, მხოლოდ არც ის არის არავისთვის დამალული, რომ საქმის თანაგრძნობა და მხარის მიცემა უნდა... დიახ, განსვენებულმა ქველ-მოქმედმა რონაშვილმა დღეს ჩვენ გვაჩუქა თავის გულის მურა ზი—წიგნთ-საცავი და ჩვენც ვალ

დებულნი ვართ მადლობა გადაუხადოთ და ვიკისროთ მისი შენახვა-პატრონობა ჩვენივე სასარგებლოთ, რასაკვირველია“...

შემდგომ ამისა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგემ აზ. ოქრო იაშვილმა საზოგადოებას გააცნო წეს-რიგი დებულება წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი.

აი ზოგიერთი მუხლი: ქ. დუშეთისთვის და მიდამო სოფლებისთვისაა დაარსებული წიგნთ-საცავი. თვეში იხდიან სამ შაურს, უგიროთ. ღარიბებს ჟურნალ-წიგნები უსასყიდლოთ ეძლევათ. დღიურად მკითხველს ერთმევა ორი კაპეიკი და უგიროდ წიგნი არ ეძლევა.

სახსრად კვლავ არსებობისა, თვით-მმართველობამ წიგნთ-საცავს უნდა აძლიოს ყოველ წელს ათი თუმანი ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად.

იახშიოლ

*** ქუთაისი. გიჟების საავადმყოფოზე. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი უბოძოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ„ ცნობის ფურცელში “ამ მცირედ შენიშვნას

„ცნობის ფურცლის “668№-ში ვიღაც მოცლილი პირი იწერება ქუთაისიდგან, რომ აქაური გიჟთა საავადმყოფო მეტად ურიგოდ ინახება და თვალ-ყურის მგდებელი არავინ არისო და სხვა.. ყოველივე ხსენებული სიმართლეს მოკლებულია და მიტომ საჭიროდ მიგვაჩნია საქმის გარემოება ვაუწყოთ: ქუთაისის გიჟთა საავადმყოფო მდებარებს მესამე პოლიციის გაყოფილებაში, მეორე სლაბოდკის ქუჩაზედ; მას უჭირავს 26-სი თვალი ქვიტკირის სიხლი, ირგვლივ ავლია ქვიტკირის გალავანი სიმაღლით ხუთი ალაბი, რათა გამვლელ გიმომვლელი პირთ არ შეეძლოთ ავადმყოფების ცქერა. ამ ჟამად აქ იმყოფება სულ 28 სულით ავადმყოფი; მუდამ თავს ადგიათ ერთი ფერშალი, მე, თქვენი მონა მორჩილი ზედამხედველი ჩემივე თანა შემწით, ექვსი მოსამსახურე მარჯვე ბიჭები და ერთი ქალთა მოსამსახურე.

ყოველ მუდამ დღე ავადმყოფებს ნახულობს ქუთაისის გუბერნიის ექიმის თანაშემწე უფალი ტრაპპი, კვირაში ერთხელ გუბერნის ექიმი ბატონი სერგეენკო, აგრეთვე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და პოლიცმესტერი. აქ, უმეტესი ნაწილი ყურადღება არის მიქცეული სისუფთავეზე. თვეში ორჯელ ავადყოფები დაიარებიან აბანოში რომელიც საავადმყოფო შენობაში, არის მოქცეული; ბანენ მათ მოსამსახურე ბიჭები. ყოველ შაფათ კვირაზე ეძლევათ სუფთა საცვლები; სასმელ საჭმელი ეძლევათ ექიმის დანიშვნით და შემოწმებით. გარეშე პირთ აქ მსვლელობა აღკრძალული აქვთ. ნახულობენ ავადმყოფებს ნება დართვით ექიმისა, მახლობელნი მონათესავენი.

ჩვენის აზრით, ეჭვს გარეშეა, რონ ზემოთ ხსენებული საპატიო პირების მხედველობას ქვეშ ქუთაისის საგიჟეში რაიმე უსუფთაობა და ურიგობა სუფევდეს.

დიდი სასიამოვნო იქნება ჩვენთვის, თუ გ. მოამბე? გვიჩვენებს დროს, როდის ვიყავით მისის ყურადღებით ბედნიერი და ან რა უსუფთაობა და უწესოება ნახა?

რაჟდენ გვარამაძე

*** ქუთაისი. მადლობის გამოცხადება. უგულითადესი მადლობას ვუცხადებ ვ. ალექსი-მესხიშვილს და ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასის ამხანაგობას, ვინიადგან კეთილ ინებეს და ამ ხანად ავათ-მყოფობის დროს ფულით შემწეობა აღმომიჩინეს: ქ.ქ. ნ. ჩხეიძემ 2 მ. ლ. გვეტაძემ 4 მ. ბ.ბ. ვ. მესხიშვილმა 4 მ. კ. ყიფიანმა 3 მ., ვ. გამყრელიძემ 1 მ. ვ. ბალანჩივაძემ, 3 მ. და ჩარკვიანმა (ნემომ) 1 მ. აკ. ტეშელაშვილმა 1 მ. ვ. აბუაქემ 7 მ. ალ. ბოქორიშვილმა 1 მ. ს. ფრანგულიანცმა 50 კ., კ. ადვიძემ 30 კ., კ. გუმლაძემ 1 მ., შ. დადიანმა 1მ. სულ 26 80 კ.,

ი. ნუცუბიძე.

# თეატრის მატიანე

## ქართული თეატრი

ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა. «აირია მონასტერი», კომედია 3 მოქ. თარგ. დ. ერისთავისა. ერთი მოქმედება შილლერის დრამიდან «ყაჩაღები». მესამე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდან «ხანუმა».

ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, იმოდენა ხალხი მოაწყდა ქართულს თეატრს, რომ ტევა აღარ იყო. მრავალი დაბრუნდა უკანვე, რადგან ბილეთები არ იშოვებოდა. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული ქართული თეატრისა! სასახელოდ ვ. ა. აბაშიძისა უნდა ითქვას, რომ ის თავისს საბენეფისო წარმოდგენას მუდამ კარგად მოაწყობს ხოლმე. რატომაც არ მოვიდოდა საზოგადოება იმ წარმოდგენაზე, რომელშიაც იღებდნენ მონაწილეობას ყველა ის მსახიობნი, რომელთაც შექმნეს ქართული თეატრი: ვ. აბაშიძე, ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ქ. ჩერქეზიშვილისა და სხვანი. კარგნი იყვნენ ამ საღამოს ქ.ქ. გარელი და კარგარეთელი. საზოგადოება გაკვირვებაში მოიყვანა დებიუტანტის ქ. რენელის ბუნებრივმა თამაშობამ. გადაჭარბებული, ვგონებთ, იქნება, რომ ვსთქვათ, რო რენელში ქართული სცენა პოულობს ერთს საუკეთესო არტისტს, იმ არტისტთაგანს, რომელნიც შეადგენენ ხოლმე სახელს და ამაყობას სცენისას.

თვით პიესები მაგდენს არაფერს წარმოადგენდნენ. შილლერს რომ თავი დავანებოთ,—ვინაიდგან დრამის ნაწვეტი „ნაწყვეტს“ შთაბეჭდილებასვე იქონიებს და არა „სრულს,“—დანარჩენზედ კარგს ვერას ვიტყვით. სიცილი „სიცილისათვის“—აი მთავარი აზრი იმ პიესებისა.

მობენეფისეს მიართვეს საჩუქრად: ძვირფასი ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვით, მშვენიერი ალბომი და ორი ვერცხლის სასტაქნე.

მ. გ—რ.

# სამკურნალო ცნობა

მოთხოვნილება ძილისა.*) ამ რიგათ, როგორც გამოცდილებიდან ვხედავთ, როგორც მავნებელია ადამიანის სხეულისთვის მეტის-მეტი ძილი იმოდენათვე მოჭარბებული უძილობაც მავნებელი. ყველამ უკვე კარგათ იცის ექიმის ტანნერის შემთხვევა, რომელმაც სანაძლეოზე ორმოცი დღე და ღამე გასძლო უსმელ-უჭმელმა. მაგრამ ამ გვარი შებრძოლება უძილობასთან უთვლად შეუძლებელია, არამც თუ ორმოცი დღე და ღამე, არამედ რამდენიმე ხნობითაც. სასტატისტიკო ცნობიდგან მხოლოდ ერთი ცნობა ვიცით, რომელიც პირდაპირ გვიჩვენებს, რომ ადამიანის სხეულს დიდი ხნობით უძილობა არ შეუძლიან. ერთმა ჩინელმა მოკლა თავისი ცოლი და ამ დანაშაულისათვის სამსჯავრომ მიუსაჯა უძილობით სიკვდილი. ერთის შეხედულობით ეს სასჯელი კაცს რაღაცა სასაცილოთ მიაჩნია, მაგრამ უნდა განვიძრახოთ, რომ ამაზედ ძნელს სასჯელს ადამიანი ვერ გამოიგონებს. დამნაშავე ჩინელი დაატუსაღეს საკანში, სადაც გამუდმებით ფეხზედ უნდა მდგარიყო. საკანი იყო მომართული ამ გვარად: წარმოიდგინეთ, დაღი ყუთი, რომელშიაც მხოლოდ ერთი ზეზე მდგომარე კაცი მოთავსდება. საკანის ყველა გვერდებში დასხმულია დიდრონი წვერიანი მახათები ისე, რომ შიგ დატუსაღებული ადამიანი, ვერც დაჯდება, ვერც აქეთ მიიძვრის და ვერც იქით, რადგანაც გაინძრევა თუ არა, მაშინვე მახათები სხეულში შეეტაკებიან. ამ მდგომარეობაში ჩინელმა დაჰყო რვა დღე და ღამე. შემდეგ დიდის ხვეწნით მიმართა სამსჯავროს და სთხოვა მიეცენებინათ უოველგვარი წამება: ჩამოეხრჩოთ, დაეხვრიტათ, დაეწვათ, ოღონდ ამ ტანჯვიდგან კი გაენთავისუფლებინათ. სამსჯავრომ შეიწყნარა დამნაშავის თხოვნა და სიკვდილით დასაჯა. აქედგან შეგვიძლიან ადვილათ წარმოვიდგინოთ, რაოდენათ საჭიროა ადამიანისთვის ძილი. ბევრი ჯარის კაცი დაუხვრეტიათ ძილის გულისთვის. ჯარის დარაჯებს ბევრჯელ გამოუცხადებიათ გულწრფელათ სამსჯავროს წინაშე, რომ განა არ ვგრძნობდით, რომ სიკვდილი მოგველოდა, როცა სადარაჯო ადგილას ვიძინებდითო, მაგრამ იმდენათ ძრიელე იყო ძილი, რომ ვერა ვსძალავდით და ჩვენდა უნებურათ დაგვეძინებოდა ხოლმეო.

ბევრი მაგალითი მომხდარა, რომ მოგზაურს დიდი ხნის უძილობის შემდეგ დასძინებია რომელსამე ციცაბო კლდეზედ, უცებ დაგორებულა და უფსკრულს ღრანცელში დაუტოვებია თავისი ძვლები.

ისტორიულის ნამდვილის წყაროებიდგან ვიცით, რომ ცხენოსან ჯარს მტერზედ იერიშის მიტანის დროს დასძინებია, ან კიდევ როდესაც მტერი უკან მოსდევნებია, სძინებია და მსხვერპლად გამხდარა. ბევრი ფაქტები ვიცით, როგორათაც ზე მოყვანილი ჩინელის, რომ დამნაშავეთათვის ვერმოკ-ნახევარი მასათებით უჩხვლეტიათ. მოპარსულს თავზედ ადუღებული დაქი უსხავთ, გახურებული შანთებით უხრუკიათ და უწვავთ ხორცი, მაგრამ დიდი ხნით ნაგვემნი უძილობით ვერა უგრძნიათ რა, ღრმა ძილიდგან ვერ გამორკვეულა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ადამიანს სამი ოთხი დღე არ დაეძინება; ეს ხდება ან მეტის-მეტი მწუხარებით და ან განუსაზღვრელის სიხარულით. ეს მოვლენაც ორივე შემთხვევაში მავნებელია ადამიანის სხეულისათვის, ამ რიგათ ადამიანი ყოველს შემთხვევაში უნდა ცდილობდეს, რომ ზომიერათ დაასვენოს ყველა სხეულის ნაწილები და განსაკუთრებით აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ტვინისთვის, რომელიც უპირველესი აზარმაცია მთელი ადამიანის სხეულის მოძრაობისათვის.

ივ. კავთელი.

## გამოსადეგი ცნობა

როგორ უნდა დააკრათ მდოგვი. როდესაც საჭიროება მოითხოვს, ავადმყოფს მდოგვს აკრავენ ამ გვარად: უნდა აიღოთ კარდონის ქაღალდი, დაასველოთ გააკრათ ზედ გახსნილი მდოგვი და დაადვათ სადაც საჭიროა. მდოგვი უნდა ეკრას ავადმყოფს 10—15 წუთს. როდესაც ახსნით მდოგვს, უნდა დაასველოთ თბილის წყლით დრუბელი, გაწითლებული კანი იმითი მობანოთ და ზედ ვაზელინი წაუსვათ.

# წვრილი ამბავი

დამწყრალებული შვილი. 13 დეკემბერს ქ. პეტერბურგში მომხდარა

ერთი სასაცილო ამბავი. ბებია ქალთან მისულა ერთი ქალი და უთხოვნია: მომამშობიარეო. ბებიას უადგილობის გამო უარი განუცხადებია. ლაპარაკი იქამდის გაგრძელებულა, რომ ქალს იქვე ვაჟიშვილი უშობნია. მეორე დილით დედას გამოუცხადებია ბებიასთვის, აქვე მახლობლად ნათესავები მყავს, წავალ შევატყობინებ, რომ პატრონობა აღმომიჩინონო. ქალი წასულა და წასულა, ისე რომ დღესაც თურმე არსადა სჩანს, აი სწორედ ასეთ შემთხვევაზე იტყვიან: „ყვავს შვილი მოუკვდა და ბუვს მიუგდო,“ „შენ დიდი თავი გაქვს და იტირეო“.

## რედაქციისაგან

ფოთში- დიმელს. თქვენი წერილი ახალი სასტუმროს შესახებ ვერ დაიბეჭდება: სასტუმროს ქება-დიდება განცხადებაში თუ შეიძლება და ისიც ზომიერად.

სამტრედიაში. ილ. მიქელაძეს. თქვენი წერილი სადგურის უფროსის გადაყვანაზე არ დაიბეჭდება.

# განცხადებანი


1899. ОТКРЫТА ПОДПИСКА 1899.

НА ЕЖЕДНЕВНУЮ, ПОЛИТИЧЕСКУЮ, УЧЕНУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

## СЫНЪ ОТЕЧЕСТВА

**годъ изданія 87-й** ПЕРВОЕ ИЗДАНІЕ **годъ изданія 87-й**

издаваемую Спб. Акціон. Обществомъ печатнаго дѣл „Издатель“ подъ редакціей **А. К. Шеллера (А. Михайлова)**.

Въ будущемъ году газета будетъ выходить при участіи Л. А. Авиловой. К. С. Баранцевича, В. В. П. П. Веймарна, Н. Г. Гарина (Михайловскій)- М. Б. Городецкаго, П. В. Засодимскаго, И. Ивановича, С. Н. К., Н. В. Максимова, Д. Н. Мамина-Сибиряка, Г. А. Мачтета, К. В. Назарьевой, Вас, И. Немировича-Данченко, И Н. Потапенко, Н. О Пружанскаго, Э. Л. Радлова. Н. А Рубакина, А. Сакмарова, А. М. Скабичевскаго, М. Слобожанина, К. М. Станюковича, В. А. Тимирязева, А. М. Хирьякова, А. К. Шеллера и др.

Въ ежедневныхъ нумерахъ газеты „Сынъ Отечества“ помѣщаются: руководящія статьи и замѣтки, литературы науки, экономической и общественной жизни во всѣхъ ея проявленіяхъ, административныя и придворныя извѣстія, а также корреспонденціи какъ заграничныя, такъ и внутреннія телеграммы (внутреннія и иностранныя): статьи по военному дѣлу, сельскому хозяйству, историческія статьи и замѣтки; торгово-промышленныя и биржевыя свѣдѣнія, судебные отчеты литературныя- театральныя и музыкальныя рецензіи, библіографіи, біографіи и некрологи современныхъ общественныхъ дѣятелей, фелетовъ общественной жизни и белетристика, русская, и иностранная.

КРОМѢ ЕЖЕДНЕВНЫХЪ НУМЕРОВЪ ГАЗЕТЫ, ГОДОВЫЕ ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

**52 НУМЕРА ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ** печатаемыхъ въ выдѣ еженедѣльнаго журнала, гдѣ помѣщается: историческіе и современные романы, повѣсти, разсказы, стихотворенія научные, новости и заключаетъ болѣе:

**300 ХУДОЖЕСТВЕННЫХЪ РИСУНКОВЪ**: портреты историческихъ и современныхъ общественныхъ дѣятелей, историческія, бытовыя и современныя иллюстраціи, а также карикатуры, шахматныя, шашечныя азадачи и проч., что въ теченіе года составитъ большой сборникъ интересныхъ литературныхъ произведеній и иллюстрацій.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на первое изданіе (съ доставкою):

на годъ—**8** р. на полгода—**4** р. на три мѣсяца—**2** р. на одинъ мѣс.—**1** р.

**ВТОРОЕ ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ «СЫНЪ ОТЕЧЕСТВА»**

ВТОРОЕ ИЗДАНІЕ „Сына Отечества“ является не сокращеннымъ повтореніемъ большого изданія, а представляетъ собою самостоятельную газету, въ которую входятъ телеграммы, хроника и общеинтересный матеріалъ и въ которой имѣются свои особые отдѣлы (сельско-хозяйственныя свѣдѣнія, научныя мелочи, обиходная рецептура и т. п.).

ВТОРОЕ изданіе представляетъ собою въ Россіи первое дешевое ежедневное изданіе съ иллюстраціями.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на второе изданіе (съ достав. и перес. по россіи).

На годъ—**4** руб. На полгода—**2** руб. На три мѣсяца—**1** руб.

ЗА ГРАНИЦУ: на годъ—**10** р., на 6 мѣс.—**6** р., на 3 мѣс.—**3** р

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ **въ ГЛАВНОЙ КОНТОРѢ: СПБ., НЕВСКІЙ ПР., Д. № 68—40**, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ, какъ столичныхъ такъ и провинціальныхъ.

(8—3)



დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით რომელიც ორ ნაწილად არის შემდგარი

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლმადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია **კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა** და **გრიგოლ ყიფშიძის** მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატვრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრ-მეტყველებ საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავი-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზე, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელ განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და კრებული ნიმუშებისა (ქრის-ტომატია) ორ-ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20^1/_2$ თაბახს და ჰღირს **ორ მანათი**.

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებ არ იყიდის, $20^0/_0$ დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში“

იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი.

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ. ფასი სამი შაური. (10—3)



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „კვალი“

გამოვა **1899** წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე. იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წ.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად **7** მან., ხოლო გაგზავნით **8** მან.; ნახევარი წლით გაუგზავნელად **3** მან. **50** კაპ., გაგზავნით **4** მ. სამი თვით გაუგზავნელად **2** მ., გაგზავნით **2** მ. **50** კ. თითო ნომერი სამი შაური. ხელის-მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილადაც გამოგზავნონ.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (სასახლის ქ., სათავად-აზნ. ქარვ.) და თვით „კვალის“ რედაქციაში—არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «**Квали**». (10—2)



ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

მ. ღაღიძის გამოცემული წიგნები:

რჩეული ლექსები და უკვდავი სარდალი, ცაბელისა . . 10 კ.

ნათელა, პოემა აკაკისა . . 20 კ.

გამზრდელი, მისივე . . 5 „

მოდა . . . . . . 5 „

საუკეთესო ლექსა კრება . 5 „

მარო, დ. მაჩხანელისა . 3 „

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად

პოემების კრებული

აჩრდილი, მომაკვდავის ჩვენება და იმედი . . . 5 კ.

(50—6)